თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3328604

ნომერი: AR1490648

თარიღი : 09.06.2017

გაცემის თარიღი : 16.06.2017

გაცნობის თარიღი : 16.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გენადი ბოიარსკიხ პ/ნ 01097000582
- გურამიშვილის გამზირი 84

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1490648 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.12.01.003.162) მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს მიერ დანართის სახით წერმოდგენილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საპატრულო პოლიციის დეპარტამეტის წერილში დაფიქსირებული და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემაზე მითითებული საკადასტრო ერთეულები არ ემთხვევა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საპატრულო პოლიციის დეპარტამეტის განახლებული წერილი და აღნიშნული დოკუმენტაცია მოყვანილი იქნეს შესაბამისობაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.